29 სექტემბერს (11 ოქტომბერს) 1867. № 39. მეოთხე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

ბაგზავნით ტფილისში
და გარეშე ადგილებში: — გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:—მმართებლობის განკარგულება.—პოლიტიკა: Ფრანცია, პრუსსია, ავსტრია, ოსმალეთი, ესპანია, შვეიცარია და ამერიკა.—ტელეგრამმები.—სხვა და სხვა ამბავი.—მგზავრის წიგნები, IV.—სახაზინო განცხადება.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.

მმართებლობის განკარგულება.

ტფილისის ქალაქის მმართველობის ბინაზის დირეკცია საზოგადოებას აცნობებს, რომ კავკასიის იქითის და აქეთის სამოსწავლო ნაწილზე შედგენილის დადებულების ძალით, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა. 1867 წლის 1-ის იანვრიდგან, გიმნაზიაში შესატანი ფული დაწესდა ეი ამდენი: მეოთხე კლასამდის 15 მანეთი თითოსგან და უმაღლეს კლასებში კი ოც ოცი მანეთი უნდა იხადონ. 2) ვინც გიმნაზიის პანსიონში თავის ხარჯზეა მიღებული, იმათ უნდა შეიტანონ ყოველ წლობით 1868 წლის 1-ის იანვრიდგან მოკიდებული 250 მან. წელიწადში, ამას გარდა როდესაც პირველათ მიიღებენ, მაშინ პირველ გამოსაწყობათ 40 მანეთი, გარდა იმისა რომ გიმნაზიაში სასწავლებლათ IV კლასამდის ხუთმეტ-ხუთმეტი მანეთი უნდა აძლიონ. უმაღლესის კლასების მოსწავლემ კი ოც-ოცი მანეთი უნდა იხადოს.

კავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლების უმთავრესის ინსპექტორის წარდგენილი ანგარიში შესახებ სამოსწავლო გამგეობისა 1866 წლისა.

რაც სასწავლებლები იყო აქამომდე ერთიც არ დაკეტილა. პიატიგორსკის უეზდის სასწავლებელი გადაკეთდა კლასსიკურ პროგიმნაზიათ.

ქრისტიანობის სარწმუნოების აღმდგენელ საზოგადოებამ გახსნა სასწავლებელი ნათლულში. მთის შკოლა უსტ-ლაბში ყუბანის მაზრაში და ტფილისში კი ქველ-მოქმედმა საზოგადოებამ (благотворительное общество) გახსნა პირველ- დაწყებითი შკოლა. სოფელს მარაზაში, რომელიც მდებარებს ბაქოს გუბერნიაში, გაიხსნა რასკოლნიკებისათვის შკოლა.—ამას გარდა ტფილისში უნივერსიტეტის კანდიდატმა მონასტირცევმა და ტერ-აკოფოვმა გახსნეს კერძოობითი სასწავლებლები, რომელიც უდრის ხარისხით გიმნაზიას.

წარსულს წელს კავკასიის აქეთის და იქითის გიმნაზიებში 79 ყმაწვილმა გაათავა სრული სწავლა კარგის ატტესტატებით. 7 იმათგანი სახელმწიფო ხარჯით უნივერსიტეტში გაიგზავნა. სამწუხაროთ ორმა ვერ დაიჭირა პირველ-მისაღები ეგზამენი და სხვა სასწავლებელში შევიდნენ. სულ ერთათ წარსულ წელიწადს კავკასიის მხარიდგან 31 ყმაწვილი გაიგზავნა რუსეთში. იმათგანი 5 უნივერსიტეტში მიიღეს, 2 სამთო ინსტიტუტში, 8 სამეურნეო პეტროვის აკადემიაში, 2 საშენობო სასწავლებელში (строительное училище) 3 კონსტანტინოვის სამხედნაო ინსტიტუტში და 2 ლაზარევის ინსტიტუტში აღმოსაველეთის ენებისა.

ტფილისის და ქუთაისის გიმნაზია ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ ძვირობისა გამო, რომელიც ეს 14 წელიწადია თან და თან მატობს. საშტატო ხარჯი მიუცილებელ საგნებზედაც არა ჰყოფნის და ყოველ წელიწადს იძულებული ვართ საკმაოთ დიდი ფული დაენიშნოთ ხოლმე, რომ როგორმე პანსიონები არ დაიკეტონ. ამ გარემოებამ მაიძულა მეთხოვნა თქვენის უმაღლებობისათვის, რომ მოგემატებინათ ფასი ქუთაისის პანსიონელების სარჩენათ. თქვენ ინებეთ სახელმწიფო ყმაწვილების ხარჯის მომატება 80 მანეთიდამ 112 მანეთამდის.

ქუთაისის გიმნაზია ბევრათ გაკეთდა მას აქეთ, რაც დაინიშნა დირეკტორათ ლევან და, რაც უწესოება იყო ამ გიმნაზიაში, ამ დირეკტორმა მოსპო და ამ საქმეში ძალიან შეეწია მას განათლებული და ძალიან კარგათ მოქმედი კაცი მარკოვი, ინსპეკტორი ამ გიმნაზიისა. დაბალ კლასსებში 16-სა და 20 წლის ყმაწვილი ბევრი იჯდა, რომელნიც რჩებოდნენ ხოლმე თითო კლასში სამოთხ წლობით, უწესოების მიზეზნი ისინი ყოფილან. თავიანთ გარემოებისაგან დამძიმებული, ამაყი და უნიჭო ყმაწვილთ შეუტანიათ გიმნაზიაში, როგორც დირეკტორი ამბობს, უთქმელი გაუგონრობა და თავიანთი-ნებაობა და ავ-ზვაობა, ამისგამო ეგზამენების შემდეგ 1866 წელს ვისაც კი გადასცილებოდა კლასითვის დანიშნული წლოვანება გიმნაზიიდამ გამოირიცხნენ და ამისა გამოთ კლასსის წესიანობა დამყარდა, თუმცა კიდევ კარგი თვალყურის დაჭერას მოითხოვს. სამწუხაროთ ზედამხედველობა გემნაზიელებზე, ძნელია, რომელნიც რიცხვით 600ნი-არიან. სცადეს რომ გემნაზიელებსა ჰქონოდათ საერთო ოთახები, მაგრამ მთავრობის შეუწევნელათ ვერ მოხერხდა ამის გამართვაზე 1861 მთავრობამ წინადადება მისცა თავად-აზნაურობას, მაგრამ უთანაგრძნობოთ დარჩა ეს საქმე.

თუმცა ეს წესიანობა ჩამოვარდა სასწავლებელში, მაგრამ სამწუხაროთ მასწავლებლები ძალიან ნაკლებათ იყვნენ, რომ მოსწავლეთ სამეცნიერო წინწაწევა ისე როგორც სასურველი იყო, მოხერხებულიყო. მანამ ახალი წესდებულება გემნაზიისა არ დამტკიცდება მანამ ძნელი იქნება ზემოხსენებულ ნაკლულევანების შესრულება იმ მიზეზისაგამო, რომ ჯამაგირი არაკმარა. ქუთაისის პანსიონი ყოველის მხრით ძალიან ნაკლებობაში იყო და თქვენის უმაღლესობისაგან ნებართული ფულის მომატება პანსიონელებისათვის, თუმცა შეამსუბუქებს პანსიონელების მდგომარეობა, მაგრამ სრული კეთილ-მოწყობილობა მაშინ დამყარდება, რაკი ახალი წესდება მოქმედებაში შევა. ქუთაისის გემნაზიის მთავრობა ახალისებს გალობის სწავლასა, ყურადღება მიაქცია მხატვრობასა, მშვენიერ თხზულებაების კითხვასა და ტანცობასაც. ბიბლიოთეკაში მომატებულია 260 საუკეთესო თხზულებაები და წიგნებს თითონ ინსპეკტორი არიგებს.

თუ თავისუფალნი არიან ყმაწვილები უსაქმოდ არასოდეს არ რჩებიან. ამ განზრახვით შინ ოთახში და გარეთ გიმნასტიკა არის გამართული. გიმნასტიკა დიდს სარგებლობას აძლევს ყმაწვილებსა, აძლევს სიმარდეს და ტანში ამაგრებს. უფრო იმიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გიმნასტიკას, რომ არჩენს საიდუმლო ბიწიერებისაგან. დურგლობას და ყდის შეკვრასა სწავლობენ; დურგლობას ისე არ ეკიდებიან, როგორც ყდის შემკვრელობას. ბევრმა ყმაწვილმა ისწავლა ყდის გადაკერა და კარგათაც მუშაობს.

პოლიტიკა.

ფრანცია. ბერეზოვსკი. Gasette du Midi ამ სახით ასწერს ბერეზოვსკის მოსვლას ტულონის საპყრობილეში 11 სექტემბერს: დახურვილი სატუსაღო კარეტა დღეს დილის ცხრა საათზედ არსენალის ეზოში შემოვიდა, თოთხმეტი დამნაშავებით. კარეტიდგან პირველათ გამოვიდა პოლშელი ბერეზოვსკი, რომელსაც რუსეთის იმპერატორის მოკვლა უნდოდა ბულონის ტყეში ჯარის გაშინჯვის დროს. ბერეზოვსკი დროებით დატუსაღებულია საპყრობილეს ცალკე ოთახში, სადაც ის უნდა იყოს გამოუსვლელათ გამგზავრებამდის ახალ-კალედონიაში, ხომალდით, რომელიც დანიშნულია იმის წასაყვანათ. ჩვეულების წინააღმდეგ, სატუსაღო კარეტა, რომლითაც ბერეზოვსკი მოჰყვანდათ, ტულონში პირდაპირ პარიჟიდგან მოვიდა უფ. შალეს ზედამხედველობით, რომელსაც ტუსაღების მიყვან-მოყვანა აბარია.

პრუსია. ბრაფის ბისმარკის ცირკულიარი. ბარდმოვსწერთ გაზეთიდგან „შვების მერკური“ შემდგომს ცირკულიარს, მიწერილს ბრაფი ბისმარკისაგან პრუსსიის სადიპლომატო აგენტებთან: „მე წინეთ შევატყობინე, თქვენს უალმატებულესობას განცხადება, რომელიც მივიღეთ ავსტრიის და ფრანციის მმართებლობისაგან შესახებ ზალცბურგში ხელმწიფეების ერთმანეთის ნახვის მნიშვნელობისა. ეს განცხადება ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ჩვენ წინათვე ვგრძნობდით, რომ საზოგადოება ძნელათ დაიჯერებდა, რომ ორი ძლიერის ხელმწიფის ნახვას ახლანდელს ევროპის პოლიტიკურს მდგომარეობაში არაფერი საფიქრებელი მნიშვნელობა არ ექნებოდა და საშიშარი არ იქნებოდა თავისის შედეგით; ბულსმოდგინეთ განვრცელებულმა ხმებმა, რომლებშიაც ცოტაოდენი მართალიც ერია, შესახებ ზალცბურგში მიღებულის პოლიტიკურის გარდაწყვეტილობისა, ვერ შეიძლეს ვერაფრით დაეფანტა ჩვენი იჭვი შესახებ ამ ნახვის ჭეშმარიტის აზრისა. ჩვენ ამისთვის უფრო ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლიან დავრწმუნდეთ ავსტრიის და ფრანციისაგან მიღებულის ცნობით იმაზედ, რომ იმპერატორი ნაპოლეონი ზალცბუგში მხოლოთ იმისთვის მივიდა, რომ თავისი გულმტკივნეულობა გამოეთქვა ავსტრიის სახლის შინაურ უბედურებაზედ, რომელსაც ჩვენც თანაუგრძნობთ. ეს ნახვა ბერმანიის საქმეებს არ შეხება, როგორც წინ და წინ გვესმოდა. ჩვენ მით უფრო კმაყოფილებით გატყობინებთ ამას, რომ ბერმანიაში გავრცელებულის ხმებისაგან მიღებულმა შთაბეჭდილებამ ეხლა კიდევ გვაჩვენა, თუ რანაირ მტრულათ ეკიდება ბერმანიის ხალხი იმ აზრს, რომ ბერმანიის საქმეები დაწყობილიყოს უცხო ქვეყნელების მოსაზრებით და არა ისე, როგორც ბერმანიის სარგებლობა მოითხოვს. ჩვენ თავდა პირველათვე ვალათ შევრაცხეთ, რომ ბერმანიის სახალხო მოძღვინარეობის მოქმედება არ იყოს დამარღვეველი, არამედ ნაყოფიერი. ჩვენის მხრით ჩვენ ვერიდებოდით ყველას, რაც კი ბერმანიაში ხალხს აღძრავდა და არამც თუ ამ აღძვრას არაფრით შემწეობას არ ვაძლევდით, არამედ ვსცდილობდით იმის შეკავებას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეცადინეობა ტყუვილათ არ ჩაივლის, თუ სხვა სახელმწიფოებიც ეცდებიან და იმისთანას არას მოიმოქმედებენ, რაც კი ბერმანიის ხალხის გრძნობას ააშფოთებს. ამისთვის ჩვენ დიდის კმაყოფილებით მივესალმებით უცხო ქვეყნელების ბერმანიის შინაურ საქმეში გარევაზედ უარის თქმასა—როგორც ნიშანს ჩვენის შინაური საქმის მშვიდობიანათ წარმართვისას. თვით ჩრდილოეთ-ბერმანიის სახელმწიფოები იტყვიან, რომ ჩვენ არა ზნეობითი შეეიწროება არ გვიხმარია, რომ იმათ ეს თუ ის გადაწყვეტილება მიეღო. ჩვენ მოძავალშიაც ამავე აზრს დავადგებით; ჩრდილოეთ-ბერმანიის ქავშირი, რასაკვირველია, უარს არ იტყვის გულს მოდგინეთ შეეწიოს სამხრეთი-ბერმანიის სახელმწიფოებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი იგრძნობენ საჭიროებას, რომ განვრცელდეს და დამყარდეს სახალხო კავშირი ჩრდილოეთი-ბერმანიისა სამხრეთ ბერმანიასთან. მაგრამ ჩვენ ამასთანავე სრულს უფლებას მივსცემთ ჩვენს სამხრეთის ბერმანიის თანა მეკავშირეებს, რომ თვითონვე განსაზღვრონ, რა ზომით უნდა იყოს ეს ურთიერთობრივი დაახლოება. ჩვენ მით უფრო გულდამშვიდებულათ მივენდობით ამ ჩვენს აზრსა, რომ ნამდვილათ განსაზღვრულს პირობის შეკრულობაში და სადამოჟნო კავშირის რეფორმაში, რომელიც ჩრდილოეთს და სახრეთს ბერმანიის შორის დაარსდა ჩვენ ვხედავთ მტკიცე საფუძველს ბერმანიის ხალხის თვით არსებობისას. მივანდობ თქვენს უალმატებულესობას გამოსთქვათ ეს აზრები იმ მმართებლობის წინ, სადაც თქვენ იმყოფებით, და სრულ ნებას გაძლევთ ეს ჩემგნით გამოგზავნილი დეპეშა მისცეთ წასაკითხველათ.“

ავსტრია. ერთს ნემეცურს გაზეთში სწერია, რომ ავსტიის მმართებლობა ძალიან ეწინააღმდეგება პანსლავიურს (*) მიმართულებას. ერთი გაზეთის სიტყვით პოლიციის სამმართველომ პრაგაში უბძანაო, რომ ერთი დღის განმავლობაში გავიდნენ პრაგიდგან ის რუსები, რომელნიც სწავლობენ პოლიტეხნიკურს ინსტიტუტში. ავსტრიის მმართებლობამ დაუწყო დევნა ოთხს ჩეხის გაზეთსა, რომელნიც ლაპარაკობდნენ რუსეთის სასარგებლოთ.

(*) პანსლავიზმი ნიშნავს იმისთანა მიმართულებას, რომელსაც მიზნათ აქვს ყველა სლავიანების ერთ სახელმწიფოთ, ან ერთ ხალხათ შეერთება.

—— ᲑᲐᲖᲔᲗᲨᲘ „Wanderer“ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲔᲨᲢᲘᲓᲒᲐᲜ 14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ: „ᲑᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲤᲣᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲪᲔᲛᲚᲐᲗ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲟᲘᲜᲯᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ. ᲛᲘᲠᲗᲛᲐ ᲣᲚᲢᲠᲐᲛ (ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ) ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲡᲗᲥᲕᲐ; „ᲣᲗᲮᲐᲠᲘᲗ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲨᲣᲢᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ.“ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ ᲤᲣᲠᲛᲐ ᲡᲗᲥᲕᲐ: „ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲛᲑᲐᲖᲔᲓ; ᲡᲯᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲖᲐ, ᲩᲕᲔᲜᲒᲜᲘᲗ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲥᲘᲐᲠᲔᲑᲗ. ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲒᲕᲐᲙᲚᲘᲐ. ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲑᲡ ᲫᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ. ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲡ!“

ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐ. ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲓᲒᲐᲜ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲗ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲓᲒᲝᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲤᲐᲜᲢᲜᲔᲜ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ-ᲤᲐᲨᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐ 14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲓᲒᲐᲜ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲘᲛᲐᲡ ᲬᲐᲛᲝᲰᲧᲕᲔᲜᲔᲜ ᲗᲐᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲛᲮᲚᲔᲑᲔᲚᲜᲘ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲯᲔᲛᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ ᲬᲔᲕᲠᲜᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲜᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲡ ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲐᲗ 13 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ ᲯᲔᲛᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲧᲝᲗ ᲡᲐᲓᲘᲚᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲔᲛᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲪᲔᲛᲚᲐᲗ.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ. „ᲢᲐᲘᲛᲡᲨᲘ“ ᲬᲔᲠᲘᲡ: „ᲨᲕᲔᲪᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲡᲪᲓᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲬᲝᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗ ᲙᲠᲔᲑᲐ. ᲘᲥ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲗᲥᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲣᲐᲠᲓᲔᲗᲝᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ; ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲡᲝᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲛᲐ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲘᲑᲘ, ᲗᲣ ᲠᲐᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜᲘᲗ ᲔᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲯᲔᲒᲐᲐᲕᲔᲜᲝ. ᲗᲣ ᲘᲛᲘᲡ ᲫᲚᲘᲡᲞᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐᲝ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲡᲙᲘ, ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲧᲠᲔᲕᲘᲜᲝᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲯᲔᲒᲐᲐᲕᲔᲜᲝ. ᲗᲣ ᲘᲛᲘᲡ ᲫᲚᲘᲡᲞᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐᲝ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲡᲙᲘ, ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲜᲝ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗᲝ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ.

—ᲑᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲒᲠᲐᲤᲗᲐᲜ ᲑᲐᲣᲙᲗᲐᲜ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲗ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲑᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲐᲣᲙᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲗ. ᲞᲝᲚᲨᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲑᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲕᲐᲚᲗᲐᲜ. ᲠᲝᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲑᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲛ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲒᲠᲐᲤᲡᲐ „ᲗᲣ ᲘᲔᲖᲣᲘᲢᲣᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛ ᲓᲐᲒᲐᲒᲓᲝᲗ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲐᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲐᲒᲓᲔᲑᲗ“.

ᲛᲐᲫᲘᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ. ᲔᲠᲗᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲫᲘᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲛᲘᲜᲐᲛ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲩᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲔᲔᲝᲚᲣᲪᲘᲔ ᲘᲧᲝ, ᲛᲘᲜᲐᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ, ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲘᲚᲐᲨᲥᲠᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲖᲔ. ᲗᲣ ᲘᲛᲘᲡ ᲫᲚᲘᲡᲞᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲧᲠᲔᲕᲘᲜᲝᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗᲝ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლათ იკვლევდა ბუნების წესებს. იმისი თხზულებანი შეიქმნენ მეცნიერების საკუთრებათ. ღრმა სიბერეშიაც კი, როდესაც ბამპტონ-ᲥᲣᲠᲢᲨᲘ განმარტოებული იყო, განაგრძელებდა გამოკვლევას და მტკიცეთ იდგა იმ აზრზედ, რომ ელეკტრონი, მაგნიტიზმი და ნათელი ერთი და იგივე ძალაა, რომელიც ჩვენ სხვა და სხვა მოქმედება წარმოგვიდგენს. ეს სხვა და სხვა ნაირი მოქმედება სხვა და სხვა შემთხვევაებისაგან წარმოსდგებაო, მაგრამ ამასთან განწესებულს კანონებს ემორჩილებაო და ეს ჯერ კიდევ გამოსაკვლეველი არისო.

სომხების კათოლიკოზის მოსვლა ᲐᲨᲢᲐᲠᲮᲐᲜᲨᲘ. 22 აგვისტოს ᲐᲨᲢᲐᲠᲮᲐᲜᲨᲘ მოვიდა ᲥᲘᲖᲚᲐᲠᲘᲓᲐᲛ სომხების ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲖᲘ, ᲖᲔᲕᲝᲠᲥᲘ, ჯვრით, სახარებით, ხატებით და დროშებით დაუხვდა სომხის სასულიერო წოდება და ამასთან მთელი ᲐᲨᲢᲐᲠᲮᲜᲘᲡ სომხობიცა. ნაეთ-სადგურიდამ კათოლიკოზი მანამ მივიდოდა სომხის სობორში, ზარის კვრა და ხალხის აღტაცებული ხმაურობა აცილებდა. უკან გამოჩენილი სომხები მოსდევდნენ გრძლათ გაბმული ეკიპაჟებით. 23 და 24 აგვისტოს ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲖᲛᲐ მოიარა სომხის ეკკლესიები და სასულიერო სასწავლებლები. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ კიდევ რამდენიმე დღე უნდა დარჩენილიყო და მასუკან გაემგზავრება პეტერბურგში, რომ წარუდგეს ხელმწიფე ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡᲐ. თან ახლავს ორი მაღალი სასულიერო წოდების გვამი და ნამესტნიკის ჩინოვნიკი.

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ.

IV.

სოფელი ღვედი სამეგრელოს და ლეჩხუმის საზღვარზეა, თვითონ ეს სოფელი კი უფრო ლეჩხუმს ეკუთვიის. ლეჩხუმი და სადიანო სვანეთი ახლა ერთს უეზდს შეადგენს; ისინი ჩადგმულან ორ მთის ზურგებ შუა და შეიცავენ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲬᲧᲚᲘᲡ ხეობას. იქით და აქეთ მთების ფერდებზე სოფლები გამწკრივებულან. სახნავ-სათესი მიწა ძალიან ცოტა აქვთ. ᲐᲦᲚᲐᲒ-ᲐᲚᲐᲒ ვიწრო მთის კალთები ყანებათ არიან გადაქცეულნი; ზოგან კი არც ამისთანა ვიწრო მთის კალთები მოიძევება და სახნავ-სათესი მიწა სულაც არ არის. შუაგულს ლეჩხუმში, ცხენის-წყლის პირზე დაეფინება ერთი დიდი და მშვენიერი ჭალა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ ნაყოფიერის ჭალისა ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ეკკლესიას იკუთვნის. ლეჩხუმის ხალხი ძალიან შრომის მოყვარეა, მაგრამ თავის ქვეყანაში რომ თავის შრომის შესაფერი საქმე არა აქვს, ამისთვის ის ზაფხულ-ზაფხულ მიდის ეაკე ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ და იქ ქირით მუშაობს. ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲬᲧᲚᲘᲡ ხეობაში რადგან კარგი სქელი ტყეა, ამისთვის ტყე იმათ ბევრს სარგებლობას მისცემდა, რომ ან საურმე გზები ჰქონოდესთ და ან წყლით შეეძლოსთ ტიეის გატანა. საუბედუროთ მთის ბილიკებს გარდა სხვა გზა არ არის; ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ კი ტიეი ვერ იმოქმედებს, რადგან კალაპოტი (წყლის საწოლი) კლდიანია და თვითონ ამ მდინარესაც ძალიან ჩქარი დენა აქვს. ლეჩხუმში ცხვარი იციან; იქ შალი და ნაბადიც კარგი კეთდება.

ღვედიდგან რომ გამოვედით, წვიმა შუადღემდის უწყალოთ გვასხამდა. ჩვენ მივდიოდით ერთს მთის ბილიკზე. როცა ჩრდილოეთისკენ შეუხვიეთ და სოფელს ზუბს მივედით, ძირს ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲬᲧᲚᲘᲡ მახლობლად, მთის ფერდზე ერთი საურმე გზა დავინახეთ, რომელიც თავდებოდა ცხვირ-წამოწვდილს მთასთანა. ეს რა გზაოო—ჰკითხა ლეჩხუმელს ᲖᲘᲒᲝᲚᲘᲙᲛᲐ.

— ეს ბატონო, ჩვენ რომ ვაკეთებთ ის გზაა. ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ, ვაკეთებთ და ბოლო კი ვერ მიეეცით. ღმერთმა იცის, მიეცემა თუ არა დასასრული მაგის კეთებას. ხუთი წელია მაგას ვაკეთებთ და არა გვეშველა რა, ვერ გავაკეთეთ.

— რატომ ვერ შეასრულეთ მაგისთანა კარგი საქმე. თქვენ რომ საურმე გზა გქონდეთ მეტი რაღა გინდათ; მალე გამდიდრდებით.

— მაგი, ბატონო მასთეა, მარამ სოფლის შეგროვება ძალიან ძნელია. ერთს რომ უნდოდეს, მეორეს არ უნდა. ერთათ ვერ ვიმუშაევებთ და ცალკე არც ერთმა არ მოინდომა. ᲐᲡᲗᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ: ნეტაი დედა ჩემს მე თუ გზის კეთებით თავი მოვიკალიო და სხვა კი სახლში დაჯდაო. ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ვერ შევგროვდებით. ᲐᲥᲐᲜᲐ რომ ერთი სოფელია, ეჰე, იქინა მეორეა (გალმა მთის ფერდზე ხელი გაიწვდინა: შორს მთებში ჩაწყვდეული სოფელი ძლივს მოსჩანდა). იქიდგან აქანეი კაცი ნახევარ დღეს ვერ მოვა. რომ კიდოც უნდოდეს, იმას ყოველ დღე აქანა მოსვლა სად შოუძლია. მართებლობა რომ იმდენ წყალობას გვიზამდეს, ჯარს დააყენებდეს და ამ გზას გაგვიკეთებდეს, ძალიან კაი იქნება. იმან რომ მოინდომოს ორი კვირის მუშაობის მეტი არ დაჭირდება". შუადღეზე მეტი იყო. მთების ბილიკზე მგზავრობამ და წვიმამ ძალიან დაგვალა; კიდეც გვშიოდა. ხელოსანი (მამასახლისი) ვიკითხეთ; მაგრამ ვინ ნახავს ხელოსანს. ᲐᲮᲚᲝᲡ რომ სადმე იყოს, მაინც ძნელია იმის გამოგდება თავის სოროდგან. მინამ იმას მივაგნებდით მთელი ორი საათი ხან აქეთ გვაქანეს და ხან იქით. როცა ძალიან გაგვჭირდა, ჩიკოლიკმა იხმარა თავისი ძალა. ის მიადგა ერთს მოსახლეს და დაიყვირა, რომ ამ წამს ხელოსანი აქ დაიბადოსო. მოსახლიდგან ერთი თავ-გაბურძგნული ტალახიანი ბიჭი გამოვიდა. ის ხან იქ მიახტა, ხან აქა, დაგვანახა ვითომც რასმე აკეთებდა, მაგრამ ხელოსნის მოსვლამდის კი არაფერს ხელი არ მიჰყო. თურმე ნუ იტყვით! ჩვენ რომ მოსახლისას მივედით, იქ ხელოსანი სახლებულა. ჩიკოლიკმა გაჯავრების შემდეგ გული დაიმშვიდა და როცა ხელოსანი გამოგვეცხადა, ის ღიმილით მიეგება: „ᲐᲑᲐ, ერთი გეთაყვა, კარგი სადილი მოგვიმზადე და ჩვენ ცხენებსაც უშოვნე რამე, მერე კი მე ვიცი შენი პატივისცემა და საჩუქარი. ჩქარა, თორემ ეს არის ჩემ ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანს შიმშილით სული ელევა. „ᲫᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲙᲘ, ᲙᲘ,—შეჰყვირა ხელოსანმა და გაიქცა.

**სოფელი ზუბი Ჯ. Დ—ᲜᲡ ეკუთვნოდა. როგორც ხელოსანმა გვიამბო, Დ—ᲜᲘ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ. ᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ, ᲐᲜ ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲠᲓᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝᲡ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲔᲜᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ. ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲔᲢᲧᲝᲛᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲡᲐᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝ ᲘᲧᲝ Დ—ᲜᲘᲡ ᲛᲝᲑᲫᲐᲜᲔᲑᲐ. „ᲓᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲜᲣᲛᲝᲒᲕᲘᲨᲐᲚᲝᲡ, ᲓᲘᲓᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲕᲘᲨᲕᲠᲔᲑᲐᲝ. ᲛᲘᲡᲘ ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲑᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲮᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲒᲔᲑᲐᲝ. ᲝᲠᲛᲝᲪᲘ, ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲣᲚ ᲩᲕᲔᲜ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲜᲔᲗ. ᲨᲔᲒᲕᲡᲕᲐᲛᲔᲗ, ᲨᲔᲒᲕᲭᲐᲛᲔᲗ, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲗᲔᲚᲐᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲬᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜᲗ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲒᲝᲭᲘ, ᲥᲐᲗᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘᲗ. ᲘᲛᲘᲡᲘ ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲘᲓᲡ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲘᲨᲕᲠᲔᲑᲐᲝ. ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠᲐ, ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲛᲫᲘᲛᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲖᲐᲠᲛᲐᲪᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗᲝ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲡᲣᲑᲣᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲩᲝᲓᲒᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲔᲚᲚᲔᲑᲘᲡ (ᲡᲐᲣᲜᲯᲕᲔᲑᲘᲡ) ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ, Ჯ. Დ—ᲜᲘ, ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐᲝ". ᲖᲣᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲭᲧᲕᲐᲠᲔᲑᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲮᲐᲡ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲐᲗ ᲘᲐᲛᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲐᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲔᲛᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛᲛᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲔᲨᲝᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲔᲡᲮᲔᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲘ, ᲘᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲭᲛᲣᲮᲕᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲛ ᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲕᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲐᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲛᲐ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲣᲙᲠᲘᲭᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲭᲘᲠᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲘᲪ ᲒᲐᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲓᲐ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲕᲘᲨᲝᲕᲜᲐ.

ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲢᲐᲚᲐᲮᲘ ᲘᲓᲒᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲐᲒ-ᲐᲚᲐᲒ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲘᲡ ᲩᲐᲔᲤᲚᲝᲑᲝᲓᲐ. ᲚᲝᲑᲔ-ᲚᲝᲑᲔ თუ გავეკვრებოდით, თორემ პირდაპირ მისვლა-მოსვლა ვერ შეგვეძლო. ᲨᲕᲐᲠᲢᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲣᲠᲣᲚᲡ ᲐᲮᲚᲡ �გარდა ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲔᲦᲔᲚᲘ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ ᲘᲓᲒᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲔᲓᲜᲔᲜ. ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲡᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲘᲓᲒᲐ ᲒᲫᲔᲚᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲬᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲘ ᲓᲐ ᲘᲓᲐᲧᲕᲓᲐᲑᲯᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲔᲠᲗᲝᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲖᲠᲐᲮᲕᲐᲡᲐ. ᲪᲝᲗᲐᲮᲐᲜᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲐᲓᲒᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲘ. ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘ. ᲢᲐᲜᲖᲔ ᲔᲪᲕᲐ ᲑᲣᲖᲣᲛᲘᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲣᲓᲘᲡ ᲩᲝᲮᲐ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲣᲚᲐᲗ ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ. ᲖᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲓᲔᲖᲔᲑᲘ ᲔᲙᲠᲐ. ᲛᲝᲬᲘᲗᲐᲚᲝ ᲣᲚᲐᲕᲐᲨᲔᲑᲘ ᲐᲔᲑᲣᲠᲓᲐ, ᲔᲢᲧᲝᲛᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲚᲐᲕᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓᲐ. ᲨᲣᲥᲣᲜᲐ თვალები ასეთი სიამაყით გადმოეჭიმა, რომ გეგონებოდა, მთელი ქვეყნის მბრძანებელიაო. მართლაც ამ სოფელში იმისმეტი აზნაური არ ესახლა და ამისგამო გლეხებთან თავი გასულოდა. ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ სიტყვით (ასე ერქვა ამ აზნაურს) თვითონ ძალიან კარგი მოსახლე აზნაური იყო; პური და ღვინო გამოულეველი ჰქონდა; მაგრამ ისიც რომ არა ჰქონოდა, ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ ასეთი ᲬᲜᲔ ᲡᲬᲘᲠᲓᲐ, რომ ᲣᲞᲣᲠᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲙᲚᲔᲑᲓᲐ. თუ ვინმე ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ სადმე სოფელში, ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲣᲜᲘᲗ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲓᲐ, იმასაც შეიტყობდა, თუ რომელი გლეხის ოჯახში ჩამომხდარა პატიოსანი სტუმარი და თავის ჩაქჩაქა ცხენით იქ მიაშურებდა: ალბათ გულში ჰფიქრობდა გაუზრდელი გლეხები რიგიანს სიტყვა-პასუხს ვერ მისცემენ პატიოსანს სტუმარსაო, ჩემი იქ ყოფნა საჭიროაო, რომ ჩემი დარბაისლობით სტუმარი არ მოვაწყინოვო". ᲐᲛᲐᲡ ᲔᲡᲔᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲣᲛᲐᲢᲝᲗ, რომ რამდენათაც სტუმრისთვის, ეგოდნათ და კიდევ უფრო ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡᲗᲕᲘᲡ იყო სასიამოვნო ამნაირი ყოფა-ქცევა. მუდამ სახლში ჯდომა, ტახტზე უსაქმოთ გორვა და მთქნარება საზოგადოთ ყველას ძალიან მობეზრდება. რადგან ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲪ ამ გვარს კაცებში ერია, ამისთვის მეზობელ გლეხთან მისვლასა და სტუმართან თავის გართობას დიდ ნუგეშათ მიითვლიდა, მით უფრო, რომ კარგი ღვინის სმისა და კარგი სადილის ჭამის მეტი არა ეხარჯებოდარა.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანს არაფრათ იამა ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ მოსვლა. ᲐᲛ სვანის ველური სახე კიდევ უფრო მოიქუშა. ეს კაცი იყო ძალიან მაგარის აგებულებისა; შაეგვრემანი და წლოვანებით დაპრანჭული სახე მხეცური თვალებით ჰქონდა გაცოცხლებული. თუ მივდიოდით, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანი თვალით არ დაგვენახვებოდა; დაკარწახებული ერთ ვერსზე წინ მიგვეძღოდა ქვეითათ. ჩვენი ცხენები იმას ჩაქჩაქითაც ვერ მოსწვდებოდნენ. ᲐᲛ ᲦᲝᲜᲘᲔᲠᲡ სიარულთან ᲭᲐᲛᲐᲪ ძალიან იცოდა. ᲫᲜᲔᲚᲐᲗ ᲦᲐ შეეძლო ვისმე იმისი გაძღომა. ᲮᲨᲘᲠᲐᲗ წყრომით დაგვაყვედრებდა ხოლმე: სვანეთიდგან რომ წამოვედი, ერთხელ ხეირიანათ არ გამძღარვარო. ᲦᲝᲠᲘᲡ ᲯᲐᲒᲠᲘᲡ მგზავსი თმა კისრამდის ეყარა; ამ თმას მის დღეში სავარცხლის კბილები არ ენახა. საქოჩრე ერთი მანეთის ოდენზე ჰქონდა მოპარსული და ზედ ეკრა მანეთის ოდნა ფაფანაკი. ის იყო ქუდის მაგიერი, მაგრამ იმის მოვალეობას კი არ ასრულებდა. ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ მძლავრი კბილები ძვალს არსად გაიცდიდა. სადილ-ვახშამზე ხორცი რომ მიმოაკერდებოდა, მერე ძვლების კრანა-კრუნს მოჰყვებოდა. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ მადის კაცს, რასაკვირველია, ჭამაში მოკერძე არაფრათ იამებოდა. როცა ᲑᲐᲙᲣᲠ ᲙᲐᲠᲖᲔ მოგვადგა, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანმა უსიამოვნოთ წაიდუდუნა: „ᲐᲛᲐᲡ მაინც რა მოათრევდა ჩვენთან. ხელოსნის სადილი ჩვენც არ გვეყოფა. ᲝᲯᲐᲮ დასაქცევს სახში საჭმელი პური არ მოეძევა და ჩვენი ბარობით უნდა მუცელი გეიძღოს. ჩვენთვინაც ვერ გვიშოვნია საჭმელი, რაღა მაგისი ამხანაგობა გვეჭირება!...",

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანი ძალიან ამაყი კაცი იყო. თუ ვისმეზე გულ-ნაღვლიანათ იყო, სულ იმას ცდილობდა, რომ რითიმე გაეჯავრებინა, ან გადაეხადნა იმის მაგიერი, რაც სხვამ აწყენინა. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ დაუჯდა. სვანმა კარგათ იცოდა, რომ ეს არ იამებოდა ამაყს აზნაურს, მაგრამ არამც თუ გვერდით დაჯდომით, სიტყვითაც უნდოდა გაეჯავრებინა.—ᲕᲐᲘ, აზნაურების ბრალი გლეხებს რომ გაათავისუფლებენ! ᲛᲐᲨᲘᲜ თქვენ უნდა თოხნოთ, თქვენი ხელით უნდა აკეთოთ ყველაფერი". ეს სიტყვები უფ. ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ ეჯალსავით გულზე დაესო. იმან თვალები გადმოუჭიმა ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანსა, გვერდზე შეხედა, ხელები გადაშალა და მრისხანებით წამოიძახა: „ᲣᲧᲣᲠᲔ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲩᲘᲧᲕᲘᲐᲜᲡ ᲡᲕᲐᲜᲡ!... ᲨᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲒᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ?...

— ᲰᲝ, ᲰᲝ!—ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანი ძალიან თავისუფლების მოყვარე კაცია—ღიმილით წამოიძახა ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲛᲐ—მაგას გლეხებზე გული სტკივა, რადგან თვითონაც თავისუფალია თავის ქვეყანაში.

— მაგის დახეულს ᲩᲝᲮᲐᲡ და ტალახიანს ფეხებსაც კი ეტყობა თავისუფლება. მაგისთანა თავისუფლება ყველას აქვს. თავისუფალი არ არი, მარამ ᲩᲘᲧᲕᲘᲐᲜ ᲡᲕᲐᲜᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ.

— ᲰᲝ, შენ რომ აზნაური ხარ, რათი მჯობი ხარ. ჩემ ქვეყანაში მე მდივანბეგი ვარ.

— ᲓᲘᲐᲦ, ᲓᲘᲐᲦ. ᲛᲒ ᲛᲔ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲑᲔᲒᲗ ᲛᲧᲐᲕᲡ—თავ-მოწონებით წამოიძახა ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲛᲐ.

— შენ რომ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ იყო, თუ რამე დაეშავე, მაგ შენ აზნოურობას დაგატოვებინებ: დაგიჭირავ და ნაჩანიკთან ხელ-შეკრული მიგიყვან—დაცინვით უთხრა ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡ ᲖᲘᲝᲠᲒᲘ სვანმა.

უფ. ᲑᲐᲙᲣᲠᲐ პირზე აენთო. ისე გაჯავრდა, რომ, მგონია, კბილით დასაგლეჯავათ არ დაზოგავდა, რომ ᲖᲘᲒᲝᲚᲘᲙᲘᲡᲐ და ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲘᲡ მორიდება არა ჰქონოდა.

— შენისთანა მურიანი სვანები გამიბედავენ რამეს, ო, შენმა მზემ! ᲑᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ დაიყვირა ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲛ, წამოხტა ზეზე და ᲑᲝᲡᲔᲚᲡ უკან წავიდა. ᲐᲛ ᲑᲐᲐᲡᲖᲔ ᲩᲣᲛᲩᲣᲛᲐᲗ მეცინებოდა. ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲛ იფიქრა, სჯობია ამ ადგილს მოვსცილდე, თორემ ცუდი რამ შემემთხვევაო: მეტის მეტი გაჯავრებით თავს ვერ იმაგრებდა.

ᲥᲣᲓᲐᲑᲖᲘᲙᲐ განზე იდგა და ყველის-ვაჭარივით ილიმებოდა. როგორც კი ᲑᲐᲙᲣᲠᲐ დერეფნიდგან გავიდა, ის იმავ წამს მელასავით უკან გაედევნა: უნდოდა თვითონაც გამოლაპარაკებოდა ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲧᲛᲝᲑᲘᲡ საქმეზე. იმას უნდოდა ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡᲗᲕᲘᲡ დაემტკიცებინა, რომ ყმების გათავისუფლება კარგიაო. თუმცა ამ საქმეში ᲥᲣᲓᲐᲑᲖᲘᲙᲐᲡ ინჩიც არ გაეგებოდა და უფრო იმაზე იყო დაჯერებული, რომ ყმების გათავისუფლება უბედურების და დამცრობის მეტს არას შეამთხვევედა კეთილ-შობილთ წოდებას; მაგრამ იმას ამაშიაც კუდაბზიკობის გამოჩენა უნდოდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲡ სიტყვით გლეხების მხარე ეჭირა და იმისი ამ გვარი ბაასი ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲡᲗᲐᲜ სასიამოვნო დაურჩებოდა. ᲥᲣᲓᲐᲑᲖᲘᲙᲐ მუდამ თვალებში შეჩერებოდა თავის მოკეთეს, ᲩᲘᲙᲝᲚᲘᲙᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყოველივე დაწვრილებით შეეტყო, რაც იმას ესიამოვნებოდა. იმას მით უფრო ჰსურდა ჩიკოლიკის სიამოვნება, რომ იმისგან მოელოდა ჯამაგირის და ხარისხის მომატებასა. ამის გამო ყოველი იმისი მოქმედება ჩიკოლიკის სასიამოვნოთ კუდაბზიკური იყო.

ბაკურა სახე-მოქუშული ბოსელს უკან სკამზე დაჯდა. ქუდაბზიკაც გვერდით მოუჯდა და კბილის-კრეჭით ჰკითხა:—რავა!... არ გიამა გლეხების გათავისუფლებაზე რომ დაგიწყო იმ სვანმა ლაპარაკი?

ულოვლის ფერს მოელოდა და აზნაურისაგან ამისთანა კითხვას კი არაოდეს არ მოელოდა. ბულში გაივლო, ეს კაცი სწორეთ გაგიჟებულა, თორემ ამისთანა უშვერათ როგორ მკითხავსო! იმან გაჯავრებით თავიდგან ფეხებამდის თვალი ააევლო ქუდაბზიკას და არა უთხრა რა.

— რას მიყურებ, თუ იცი?... მართლა გკითხავ: რეიზა გეწყინა, სვანმა რომ გლეხების გათავისუფლებაზე დაგიწყო ლაპარაკი.—განუმეორა ქუდაბზიკამ.

— შენ გასულელდი, თუ მართლა მკითხავ მაგას?...

— მართლა, აპა ტყუილაა?

— თუ მართლა მკითხავ, გიჟი ყოფილხარ.

— ბიჟი, ჩემო ბიძია, შენ ყოფილხარ, რომ ტყულა წყრები.

— რა კაცი ხარ, შენ! აგი მითხარი: გლეხი ხარ, თუ აზნაური?

— ვეი პლაც!.. ნეტაი შენ იყო ჩემისთანა აზნაური: მე დღეს იქნება, თუ ხვალ თავადობას დამიმტკიცებენ—აქოჩვით წამოიძახა ქუდაბზიკამ.

— თუ აზნაური ხარ, აპა, მაგას რავა ლაპარაკობ: „რეიზა გეწყინაო გლეხების გათავისუფლებაზე ლაპარაკი“. მეც და შენც გლეხით გვიდგია სული. მაგი კაი ჩოხა და ვერცხლით გაჭედილი ხმალი არ გექნება, შენ რომ გლეხები არ გყავდეს. არც ცხენით დეიწყებ ამ მთებში სიარულს.

— დიახ. არ გინდა (ცერს უჩვენებს)? მე იმისთანა ნუ გგონივარ, ზოგი ერთი რომ გინახავს. ჩიკოლიკი თუ ცოცხალი მყავს ჩემ ბედს ძალი არ დაჰყეფს.—თავმოწონებით სთქვა ქუდაბზიკამ.

— შენ აგი მითხარი, აზნაურშვილი ხომ ხარ.

— აზნაურშვილი ვარ, აპა რა ვიქნები? აზნაურშვილი აზნაურშვილს ჰქვია. მე ძირის აზნაურშვილი ვარ.

— აპა, რავა მასხარულათ ლაპარაკობ. ბლეხების გათავისუფლება ჩემზე უფრო, შენ უნდა გეწყინოს.

— არა. ბლეხების გათავისუფლება კარგია. ჩიკოლიკმა თქვა, იგენიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთო. ჯამაგირი გვექნებაო და ფული სულ ბზესავით მოგვივა.

— სეიდგან გექნება, რომ გლეხები აღარ გეყოლება.

— ხემწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დეივწყებთ.

— კაცო, აზნაურობას მერე ვაჭრობაში გაცვლი! კარგი აზნაურშვილი ყოფილხარ! მომიკვდეს შენისთანა აზნაური.

— მოკვდი და არც იცი. რავა ლაპარაკობ შენ!

— ყაძახები (გლეხები) გყავს თუ არა?—ბოლებით ჰკითხა ბაკურამ, რომელსაც სრულებით არ სჯეროდა იმისი აზნაურობა, როცა ქუდაბზიკამ სთქვა, რომ ვაჭრებათ გადეიქცევითო.

— კი მყავს.

— ოჯახი გაქვს?

— კი.

— შენს ოჯახს ხომ შენი ყაძახები უყლის? ხომ გემსახურებიან ოჯახში. ბეგარას არ გაძლევენ?

— აპა რას იზმენ! რომ არ მომცენ, ძალათ გადავახდევინებ. ნეტაი დედა ჩემს თუ ჩემი ბეგარაც ყაძახებმა შეირჩინეს. მე იმისთანა არ გახლავარ, ზოგიერთს ბატონს რომ გლეხები დეიჯაბნებენ და ბეგარას შეირჩენენ. ბეგარა კი არა, საუდიერო ფერდელა ღორიც რომ არ მომიყვანოს, სუნთლათ ცხვირში ძმარს წავადენ.

— ქაი და პატიოსანი. მეც მაგი მინდოდა, რომ გეთქვა. ახლა წამოიდგინე, რომ ის შენი გლეხები არც ბეგარას მოგცემენ, არც შინ გემსახურებიან; თუ ძალა დაატანე, ბრეელს გცემენ. ოჯახის მომველელი არავინ გეყოლება. ყანაში არავინ გიმუშავებს. სახლში ცეცხლს არავინ დაგინთებს. სულ შენა უნდ ქნა ყოლიფერი: ცეცხლიც შენ უნდა დაანთო, წყალიც შენ უნდა მეიტანო.

— არა, არა, არა. მაგი არ იქნება; წყალს რავა მოვიტან...

— მაცა, მაცა... ყანაც შენ უნდა გათოხნო, შეშაც შენ უნდა მოიტანო.

— აჰ, აჰ, გადირიე თუ?... მაგას რავა მეუბნები. მაგას რავა ვიზამ.

— ბლეხები რომ ჩამოგერთმევა, არ იზამ, რა გზა გაქვს.

— ჩიკოლიკმა მე და შენზე უკეთ იცის. იმან თქვა, რომ გლეხებში ფულს მოგვცემენო. სამსახურში შევალთ, ჯამაგირს გაგვიჩენენ. შვილებს გავზდით, გავნათლდებით და ეჰე, ფრანცუცები რომ მდიდარი არიან, ჩვენც ისთე გავხდებით.

— ში, დევიღუპე! მთლათ გოუსულელებია ეს საწყალი იმას, ჩიკოლიკია, თუ ვინცღაა! ჰა, ჰა, ჰა, ჰა (იცინის). ქაცო ჩემი გლეხები მილიონს მირჩევნია. ბლეხებში ხემწიფე მილიონს რავა მომცემს! იგი ან მოგვცემს ერთს, ან ორ ფარას. ჩახვალ ქუთეის და იქავე მითესავ; მერე დამრჩები ხელცარიელი. შენ ამბობ შვილებს გავზდითო, რითი გაზდი, რომ ფარა არ გექნება! ჯამაგირს გაგვიჩენენო; ყველა ხომ სამსახურში არ შევა. ყველა რომ მთავრობის კაცი შეიქნეს, მთავრობის ხელქვეითი ვინღა დარჩება. ბიძაშვილობამ მაგ ჩიკოლიკს გოუსულელებიხარ.

— სულელი შენ ხარ. რას ამბობ, კაცო, მაგი მეორეთ არ მითხრა. ეს ბაასი ასეთი ფიცხი შეიქნა, რომ ჩვენი სვანები და მეც იმათთან მივცვივდით. ბაკურა და ქუდაბზიკა პირზე ძალიან გაწითლებულიყვნენ, ფეხზე იდგნენ და, როგორც შეეძლოთ, ერთმანეთს ისე შეჰყვიროდნენ.

— ქიდო გეტყვი, რომ გაგიჟებულხარ, თვარა შენ მაგისთანა უჭკუო ლაპარაკს არ დეიწყებდი.

— მეორეთ არ მითხრა მაგისთანა სიტყვა, თვარა ან შენ და ან მე.

— ფუ შეგირცხვა აზნაურშვილობა, კაი აზნაურშვილი შენ არ გამოსულხარ—შესძახა ბაკურამ.

— გამიშვით—დაიყვირა ქუდაბზიკამ და ხმალს ხელი მოაელო.

ბიორგი სვანი ეცა და გააჩერა. ბაკურა განზე გადგა და იქიდგან ჰყვიროდა.—„ბამოუშვით, გამოუშვით. თუ ბიჭია, ჩემთან მოჰბედავს. მამაჩემი არ წამიწყვდება ქათამსავით თავს წავგლეჯავ. ქუდაბზიკა ძალიან იჩარჩებოდა, მაგრამ ღონიერს სვანს მაინც ვერ დასხლტა ხელიდგან. ბაკურამ იგრძნო, რომ მე აქ სამყოფი პირი აღარ მაქვსო. შეჯდა თავის ჩაქჩაქა ცხენზე, ერთი კიდევ მოაძახა: „ბახსოვდეს. ქიდო გნახავ. იმისთანა ჩემს მტერს, მე შენ დღე დაგაყენო, ხელი გულზე მიიბრაგუნა და გაქუსლა.

ბიორგი სვანი ძალიან გამხიარულდა, რომ სადილში მოკერძე თავიდგან მოიშორა. ჩვენც დიდხანს აღარ დავრჩენილვართ ხელოსნისას. სადილი ვჭამეთ თუ არა, იმავ წამს ზუბის სოფლიდგან გავემგზავრეთ.

სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 75)

1) ქავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში 1867 წლის 2 ოკტომბერს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა მანგლისში 4 სახაზინო წისქვილების შეკეთება. ამ წისქვილების შეკეთება ეღირება 3,226 მან. და $39^3/_4$ კაპ.

2) ქავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში ხელ-ახლათ დაინიშნა ტორგი 11 მომავალს ოკტომბერს შესამზადებლათ დაღესტანის მაზრის მალაზიისათვის 1868 წელში 68,300 ჩეტვერი ფქვილისა, 6,745 ჩეტვ. კრუპისა და 70,000 ჭილობისა. თუმცა ამის ტორგი 20 სეკტემბერსაც იყო, მაგრამ მაშინ საქმე ვერ გარიგდადა ამისთვის ეხლა ხელმეორეთ დაინიშნა. პირობები ისევ ის არის, რაც წინეთ იყო.

5) ტფილისის ბუბერნიის სამმართველოში მოხდება ტორგი 23 მომავალს ოკტომბერს, რომელზედაც იჯარით გაიცემა საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსის მომზადება ტუსაღებისათვის 1868 წელში.

6) ბზების VIII ოკრუგის სამმართველო უცხადებს მსურველთ იკისრონ დამტვრეული ქვის შემზადება ქუთაისის და ვლადიკავკასის სახელმწიფო გზების მოსაფენათ 1869 წლის 1 იანვრამდე. ქვის შემზადება ორათ არის გაყოფილი: ქუთაისის გზისათვის ცალკე გაიცემა იჯარით· ვლადიკავკასის გზისათვის ცალკე ფასი და პირობაები ამ დამტვრეული ქვის მომზადების შესახებ მსურველს შეუძლიან შეიტყოს ზემოხსენებულის ბზების სამმართველოში.

8) ბაგრის დროებითი სამხედრო საავათმყოფოს კანტორაში 10 მომავალს ოკტომბერს დანიშნულია ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა დაკეთება, გასწორება და შეღება საავათმყოფოს, სხვა და სხვა ხის, რკინის და თუჯის ნივთებისა.

9) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით ბორის უეზდის სამსჯავროში ამ წლის 20 ნოემბერს მოხდება ტორგი გარდაცვალებულის პოდპარუჩიკის თ. დავით ესტატეს ძის ციციშვილის მამულის გასასყიდველათ. ეს მამული მდებარებს ბორის უეზდის სოფლებში: ქეხიჯვარში, ქარელში და ხვედურეთში. ისყიდება იმისათვის, რომ მისმა მემკვიდრეებმა სრულათ არ შეიტანეს პრიკაზიდგან გამოტანილის 1852 წელში 22,400 მანეთის სარგებელი.

10) ზაკავკასიის პრიკაზის გადასწყვიტილებით თელავის უეზდის სამსჯავროში ხელმეორეთ მოხდება ტორგი მომავლის წლის 8 იანვარს მართა მიხეილის ასულის ვაჩნაძის მამულის გასასყიდავათ. ეს მამული მდებარებს სიღნაღის უეზდის სოფელს ქარდანახში და ისყიდება იმისათვის, რომ ამან პრიკაზიდგან გამოტანილი ვალის 1851 წელში—2750 მან. სარგებელი არ შეიტანა.

11) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 9 ოკტომბერს მოხდება ტორგი ტფილისის მოქალაქის ისაია ვართანოვის მამულის გასასყიდავათ. ეს მამული მდებარეობს ნავთლუხში და შესდგება სახლისა და დუქნისაგან. ისყიდება იმისათვის, რომ ამან სრულათ არ შეიტანა პრიკაზიდგან გამოტანილი 1853 წელში 1350 მან სარგებელი.

13) თელავის უეზდის სამსჯავროში მოხდება ტორგი მომავალი წლის 16 იანვარს, სადაც გაისყიდება უძრავი მამული თელავის მცხოვრებლებისა ჯანია და ივანე ბიგოლას ძეთ მშვენიერიძეებისა. ეს მამული მდებარეობს თელავის უეზდის სოფელში ყურდღელაურში და შესდგება ქვითკირის ბოსლისა, და კრამიტით დახურული დაწნული სახლისაგან, ეზოთი. დაფასებულია 35 მან. და ისყიდება ვალში.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

თანამშრომელებისა ... კასიის სახალხო-სამკურნალო ფურცლის გამოსაცემათ.

ქავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ განიზრახა მომავლის წლიდგან სახალხო-სამკურნალო ფურცლის გამოცემა რუსულს ენაზე და აქაურს ენებზეაც (ნახე §§5 და 6 уст. Общ.) საზოგადოებას ჰსურს ახლა ეს თავისი აზრი გაამართლოს და უმორჩილესათ ჰსთხოვს იმათ, ვისაც უნდათ მიიღონ მონაწილეობა ამ ფურცლის გამოსაცემათ, რომ თავისი აზრი წარუდგინონ საზოგადოებას 1868 წლის 1-ის იანვრამდე.

ბადმოვსწერთ რამოდენსამე პირობებს იმ პროგრამიდგან, რომელიც შეადგინა მკურნალთ-საზოგადოების საპატიოს წევრმა უფ. სობოლშჩიკოვმა:

1) ვინც ისურვებს მონაწილეობის მიღებას, იმან უნდა გამოგზავნოს საზოგადოებაში სტატია გასაშინჯავათ და აგრეთვე უნდა გამოაცხადოს, რამდენი ამისთანა შრომა შეუძლიან იმას წარმოადგინოს ერთი წლის განმავლობაში.

2) სტატიის საგანი უნდა იყოს ადვილ-გასაგები უბრალო ხალხისთვის და რაც შეიძლება ნათლად უნდა იყოს ახსნილი ის გარემოებანი, რომელზედაც მჭიდროთ დამოკიდებულია კაცის სიმართლე და იმის ცხოვრება.

4) საზოგადოების თანამშრომელი თავის შრომისთვის მიიღებს სასყიდელს ერთ დაბეჭდილს ფურცელში სამთუმნიდგან ხუთ თუმნამდე.

9) მთელი წლის გამოცემა ამ ჟურნალისა შეიცავს ხუთმეტიდგან ოცამდე დაბეჭდილს ფურცელს და გამოიცემა ცალ-ცალკე ბროშურებათ დროსა-და-დროს განმავლობაში.

10) სტატიები ადგილობრივს ენებზე უნდა გადათარგმნონ ან ექიმებმა და ან საკუთრათ მთარგმნელებმა იმ ჰექიმების ხელმძღვანელობით, რომლებმაც აქაური ენები კარგათ იციან. მთარგმნელებიც და ექიმებიც შესაფერს შრომის ფასს მიიღებენ.

ქუთაისში, უ. ბ. ქალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის მაგაზინში იყიდება შემდეგი წიგნები:

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან; ფასი ხუცური ანბანით, სამი შაური.

ანბები ძველის დროების ხალხებზე. 1 ნაწილი, ფასი სამი შაური.

თ. ბიორგი ერისთავის თხზულება, ავტორის პარტრეთით, ფასი 1 მანეთი.

საქართველოს კალენდარი, შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან. ფასი ათი შაური.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება ვეფხვის ტყაოსანი. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. ფასი ათი შაური.—

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა: ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის იაკობ ბოგებაშვილისა. მეორე გამოცემა. ფასი ორი შაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го сентября 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.